საქართველოში ევაკუირებული ზოგიერთი საწარმოს სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე გადაყვანის ისტორიის საკითხისათვის მეორე მსოფლიო ომის წლებში (1939-1945)

ახალმოსულიშვილი თეიმურაზ
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.05

აბსტრაქტი. *მეორე მსოფლიო ომის უმკაცრეს პირობებში საქართველოში ევაკუირებული საწარმოების და მოსახლეობის სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე გადაყვანის ღონისძიებანი ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა, როგორც პოლიტიკური ხელისუფლებისათვის, ასევე საბჭოთა ეკონომიკისათვის. მაგრამ საქართველომ ღირსეულად გაართვა თავი ამ ამოცანას და გადაიქცა სამხედრო პროდუქციის წარმოების მძლავრ არსენალად.*

წინამდებარე კვლევაში საქართველოს წვლილს საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო პროდუქციით მომარაგებისა და ფაშისტური გერმანიის დამარცხების საქმეში, განვიხილავთ საქართველოში ევაკუირებული ზოგიერთი საწარმოს სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე გადაყვანის მაგალითზე. გერმანია - საბჭოთა კავშირის ომის დაწყების პირველივე დღეებიდან სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა დაექვემდებარა ქვეყნის უმთავრეს ინტერესებს - მტერზე გამარჯვებას. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის უმთავრესი ამოცანა გახდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან საწარმოო ძალების გრანდიოზული ევაკუაცია. ევაკუირებული სამრეწველო საწარმოებისათვის საჭირო იყო ზურგის ისეთი რაიონების შერჩევა, სადაც არსებობდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ნედლეული. სწორედ ასეთ რეგიონად გადაიქცა ომის წლებში საქართველო.

სახალხო მეურნეობის (ევაკუირებულ საწარმოებთან ერთად) საომარ ყაიდაზე გარდაქმნა ითვალისწინებდა მრეწველობის იმ დარგების უპირატეს განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ფრონტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას შეიარაღებით, საბრძოლო მასალითა და ყველა სხვა საჭირო პროდუქციით. საქართველომ მის წინაშე მთავრობის მიერ დასახულ დავალებებს ღირსეულად გაართვა თავი.

საკვანძო სიტყვები: *სამხედრო, ევაკუირებული, ნაღმტყორცნები, ავტომატები, ვაგონები.*

საქართველომ, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა მოკავშირე რესპუბლიკამ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვების საქმეში. ფაშიზმის განადგურებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ბედზე. ამიტომ დიდია ინტერესი მეორე მსოფლიო ომის ისტორიისადმი. ქართული ისტორიული მეცნიერების ძირითადი ამოცანაა ამ ომში ქართველი ხალხის

მონაწილეობის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა, გაშუქება და გაანალიზება ქართველი ხალხის საბრძოლო და შრომითი გმირობისა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე სამეცნიერო გამოკვლევა. ომის დაწყებამ ქვეყანას უმთავრეს ამოცანად დაუსახა სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა. ამ პროცესის წარმატებულად თავის გართმევას ართულებდა ფრონტისპირა ოლქებიდან საწარმოო ძალების გრანდიოზული ევაკუაციის დაწყება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1941 წლის 24 და 27 ივნისს მიღებული მთავრობის დადგენილებით და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ამავე წლის 4 ივლისის დირექტივით (კუპატაძე ე., 1978:16).

მტრის მიერ ოკუპირებული ოლქების მომიჯნავე ტერიტორიებიდან ევაკუირებული სამრეწველო საწარმოებისათვის საჭირო იყო ზერგის ისეთი რაიონების შერჩევა, სადაც არსებობდა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ნედლეული. სწორედ ასეთ რეგიონად შეირჩა საქართველო. საქართველოში ევაკუირებული გემთმშენებელი, საარტილერიო და საავიაციო ქარხნების გარდა, მიიღეს და განათავსეს რამდენიმე ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი და ვაგონშემკეთებელი ქარხანა. ამათგან აღსანიშნავია: სტრის (გარე კარპატები), პოპელნიანსკის, ნოვოროსიისკისა (რუსეთი) ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნები... ყველა ეს ქარხნები მიიღო ი. სტალინის სახელობის თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ (კუპატაძე ე., 1978:48).

აღნიშნული ევაკუირებული საწარმოების აღდგენა და მათი სამხედრო ყაიდაზე გამართვა ერთდროულად მიმდინარეობდა. ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად, ყვლა ევაკუირებული საწარმოს თითოეულ საამქროს მიეცა სამხედრო პროდუქციის გამოშვების კონკრეტული გეგმა.

ახლა განვიხილოთ, კონკრეტულად, თუ რა სახის სამხედრო პროდუქციას უშვებდნენ ი. სტალინის სახელობის თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ბაზაზე გამართული ევაკუირებული საწარმოები.

ტიხორეცკიდან ევაკუირებული ქარხნის კოლექტივის ერთი ჯგუფი (60 კაცი, მათგან 45 ხარატი) მუშაობდა რეაქტიული ნაღმმტყორცნების (,,კატიუშას“) მთავარი დეტალის დამზადებაზე (ოქროსცვარიძე შ., 1976:60). ტიხორეცკელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე შპაგინის კონსტრუქციის პისტოლეტ-ავტომატისა და 122 მმ ყალიბის საარტილერიო ყუმბარების დამზადებაში. ტიხორეცკელთა კოლექტივმა თვენახევარში შეძლო საარტილერიო საამქროს ამუშავება და 122 მმ ყალიბის საარტილერიო ყუმბარების სერიული წარმოების დაწყება. ტიხორეცკელები 122 მმ ყალიბის ყუმბარებს მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში უშვებდნენ. ფრონტზე მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ომის დამთავრებამდე ბევრად ადრე, ამ პროდუქციის წარმოება თბილისში შეწყდა (ოქროსცვარიძე შ., 1976:74).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორჯონიკიძის ვაგონშემკეთებელი ქარხანა, რომელიც თბილისში იქნა ევაკუირებული, შედგებოდა ორჯონიკიძის, სტრისა და პოპელნიანსკის მონათესავე საწარმოებისაგან. თბილისში ევაკუირების შემდეგ ორჯონიკიძის ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ დაიწყო 82 მმ ყალიბის ნაღმების წარმოების ორგანიზაცია. თბილისის ქარხნის ხელმძღვანელობამ დიდი დახმარება გაუწია ორჯონიკიძის ქარხანას ამ დავალების წარმატებით შესრულებაში, სახელდობრ, გამოუყო მას შენობა საარტილერიო საამქროს მოსაწყობად; დააკომპლექტა საამქრო კვალიფიციური კადრებით, დაეხმარა ჩარხებისა და სამსხმელო საამქროს რეკონსტრუქციაში, სამსხმელო საამქროში სამუშაოდ გადაიყვანეს როსტოვიდან ევაკუირებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად, სულ რაღაც 2 თვის შემდეგ ქარხანამ დაიწყო 82 მმ ყალიბის ნაღმების სერიული წარმოება (ოქროსცვარიძე შ., 1976:54).

ტიხორეცკიდან და ორჯონიკიძიდან ევაკუირებულ საწარმოთა მსგავსად სპეცდავალებათა შესრულებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ნოვოროსიისკისა და როსტოვის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნები. მათ დიდი წვლილი შეიტანეს შპაგინისა და სუდაევის კონსტრუქციის ავტომატისა, აგრეთვე 82 მმ და 120 მმ ყალიბის ნაღმების ათვისებისა და სერიულ წარმოებაში (კუპატაძე ე., 1978:54).

1942 წლის ივლისში ევაკუირებული იყო სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის სისტემის საწარმოები: როსტოვის ელექტროტექნიკური ქარხანა და ტიხორეცკის მანქანათმშენებელი ქარხანა ,,კრასნი მოლოტი“, რომელიც აღდგენილ იქნა თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის ბაზაზე.

1942 წლის სექტემბერში პირველი პროდუქცია გამოუშვა ტიხორეცკიდან ევაკუირებულმა ქარხანამ ,,კრასნი მოლოტმა“ (რომელიც თბილისის ელექტროდეპოს ბაზაზე იქნა მოწყობილი). 1942 წლის სექტემბერ ოქტომბერში ქარხანამ დაამზადა 36,7 ათასი ცალი 50 მმ ნაღმის კორპუსი და 36,8 ათასი ცალი სხვადასხვა დეტალი. სპეცდაკვეთებით გათვალისწინებული გეგმა ქარხანამ 120% -ით შეასრულა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქარხნის პროდუქციის ფაქტიური ღირებულება 2,6-ჯერ აღემატებოდა გეგმიურს (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.17).

საკავშირო მთავრობის მითითებით, 1943 წლის იანვრიდან, თბილისში ევაკუირებული ტიხორეცკის მანქანათმშენებელი ქარხანა მთლიანად გადაიყვანეს 50 მმ ნაღმების წარმოებაზე. ამიტომ იგი წარმოადგენდა მთავარ ქარხანას ჩვენს რესპუბლიკაში ამ პროფილის საწარმოებს შორის. სპეცდავალებათა შესასრულებლად საჭირო მასალებითა და მოწყობილობებით ქარხანას ამარაგებდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ამიერკავკასიის ფრონტის ფონდებიდან.

სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის სისტემის აღნიშნული საწარმოები, რომლებიც ნოვოროსიისკიდან, როსტოვიდან, ტიხორეცკიდან და ორჯონიკიძიდან (სტრის და პოპელნიანსკის ქარხნებთან ერთად) იქნენ ევაკუირებულნი თბილისში, უშვებდნენ ათობით ქვემეხებს, ნაღმმტყორცნებსა და ავტომატებს, ტყვიამფრქვევებს და მათთვის საჭირო ჭურვებს, ნაღმებსა და ვაზნებს, რითაც გარკვეული წვლილი შეჰქონდათ მეორე მსოფლიო ომში წითელი არმიის იარაღითა და საჭურველით მომარაგებაში. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ამ საწარმოთა დიდი მუშაობა პირვანდელი პროფილით - ისინი არემონტებდნენ დაზიანებულ ვაგონებს, ორთქმავლებსა და ელმავლებს. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ძირითადად რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებით ხდებოდა ჯარების გადაჯგუფება, ფრონტის მომარაგება იარაღით, საჭურველითა და სურსათ-სანოვაგით (კუპატაძე ე., 1978:55).

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 22 აგვისტოს განკარგულებით საქართველოში ორჯონიკიძიდან ევაკუირებული იყო მინის ტარის ქარხანა, რომელიც ქუთაისის მინის ტარის ქარხნის ბაზაზე იქნა აღდგენილი და მწყობრში ჩადგა მხოლოდ 1944 წლის მაისში (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.141) ქარხანა დიდი რაოდენობით უშვებდა აალებად სითხიან ბოთლებს (მოლოტოვის კოქტეილი), რომლებიც წარმატებით გამოიყენებოდა მტრის ტანკებისა და ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაშასადამე, როგორც განხილული მაალები ცხადყოფენ მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველო მნიშვნელოვანი რაოდენობით ამზადებდა ქვემეხებს, ავტომატებს, ტყვიამფრქვევებს, ჭურვებს, ნაღმებს, ვაზნებს ასაფეთქებელ

ნივთიერებებსა და სხვა. ამასთანავე, მიმდინარეობდა დაზიანებული ვაგონებისა და ორთქმავლების აღდგენა და მწყობრში გაშვება.

ყველაფერი ეს საქართველოში ევაკუირებული და სათანადო ბაზაზე აღდგენილ საწარმოებში ხდებოდა. ეს კი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამხედრო მრეწველობა საქართველოში ძირითადად ევაკუირებული საწარმოების ბაზაზე შეიქმნა. მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს პირობებში ამ უდიდეს ისტორიულ გამოცდილებას განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური დატვირთვა გააჩნია. როდესაც ქვეყანა ისწრაფვის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისაკენ აუცილებელ პირობად მოჩანს თავდაცვითი და სამხედრო მრეწველობის გაძლიერება აგრესიულ სახელმწფოთა თავდასხმის შემთხვევაში მათ მოსაგერიებლად.

დამოწმებულ წყაროები და ლიტერატურა:

1. კუპატაძე ე., ევაკუირებული სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებებისა და მოსახლეობის მიღება და განლაგება საქართველოში დიდი სამამულო ომის პერიდში, თბ., 1978, გვ.16.
2. ოქროსცვარიძე შ., თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა დიდი სამამულო ომის წლებში, თბ., 1976, გვ.60.
3. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.17, აღწ. 3, საქ.456, ფურც.3, 230.
4. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.141, აღწ.1, საქ. 12843, ფურც. 78-79.

On the History of the Conversion of Some Enterprises Evacuated to Georgia to the Production of Military Products During the Great Patriotic War (1939-1945)

Akhalmosulishvili Teimuraz
Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Under the harsh conditions of World War II, the task of converting evacuated enterprises and population to Georgia to military production was a complex undertaking for both the political leadership and the Soviet economy. However, Georgia coped with this task and became a powerful military production arsenal.

This study considers contribution of Georgia to supplying the Soviet Armed Forces with military equipment and the defeat of Nazi Germany, using the example of the converting of some enterprises evacuated to Georgia to military production. From the first days of the war between Germany and the Soviet Union, the transition of the national economy into a wartime system was subordinated to the country's primary interests—victory over the enemy. The primary objective of the State Defense Committee was the massive evacuation of industrial enterprises from the occupied territories. For evacuated industrial enterprises, it was necessary to select areas in the rear where the appropriate material-technical resources and raw materials were available. Georgia turned into such a region during the war.

The transition of the national economy (along with evacuated enterprises) to a wartime footing primarily covered the development of those industries that would meet the front's needs for weapons, ammunition, and all other necessary goods. Georgia coped with the tasks set by the government in a worthy manner.

Key words: military, evacuees, mortars, machine guns, wagons.